

**შპს "ონიმა"**

**ფინანსური ანგარიშგება**

**და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

**საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა**

**2022 წლის 31 დეკემბერს**

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

### ფინანსური ანგარიშგება

#### შინაარსი:

|                                                                                |    |
|--------------------------------------------------------------------------------|----|
| მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე | 3  |
| ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ                                     | 4  |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება                                                   | 5  |
| ანგარიშგება საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შესახებ                            | 6  |
| ფულადი სახსრების ანგარიშგება                                                   | 7  |
| სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები:         | 8  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია                                                           | 8  |
| 2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა                                 | 8  |
| 3. ფული და ფულის ექვივალენტები                                                 | 14 |
| 4. მოკლევადიანი მოთხოვნები                                                     | 14 |
| 5. სასაქონლო-მატერიალური მარაგი                                                | 14 |
| 6. ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები                               | 15 |
| 7. კრედიტორული დავალიანება                                                     | 16 |
| 8. საგადასახადო ვალდებულება                                                    | 16 |
| 9. სესხები                                                                     | 16 |
| 10. შემოსავლები                                                                | 17 |
| 11. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება                                        | 17 |
| 12. დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი                                         | 17 |
| 13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                                          | 18 |
| 14. ფინანსური ხარჯი                                                            | 18 |
| 15. სხვა (ხარჯი)/შემოსავალი                                                    | 18 |
| 16. მოგების გადასახადის ხარჯი                                                  | 19 |
| 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები                                  | 19 |
| მმართველობითი ანგარიში                                                         | 20 |

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ონიმა“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

#### პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ონიმა“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, მისი საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის და მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად.

#### პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანია შიდა კონტროლის პროცედურების ფარგლებში გარკვეული პერიოდულობით ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას, თუმცა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის ფარგლებში არ მომხდარა ინვენტარიზაციის პროცესში ფაქტიურად დასწრება. ამასთან, 2022 წლის 1 იანვრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. აღტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვახერხეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში ძირითადი საშუალებების რაოდენობაზე, კომპანიას არ აქვს ჩატარებული ძირითადი აქტივების გაუფასურების ტესტირება. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და სარწმუნო მტკიცებულებების მოპოვება ძირითადი საშუალებების საბალანსო მდგომარეობაზე, რაოდენობაზე და ღირებულებაზე, შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ თანხებთან მიმართებაში.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა, როგორც პბეკ-ის ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია შედგება მმართველობის ანგარიშგებისგან, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მსასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, გარდა ჩვენი დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძველზე აღწერილი საკითხების მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი შესაბამის ფინანსურ ინფორმაციაზე შესაძლო შედეგებისა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით ჩვენ მოგვეთხოვება, რომ გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილების შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება ისინი შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და

განვსაზრვრით შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ გაწეულ სამუშაოზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით“

- იმ წლის მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგებაა მომზადებული, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას.
- მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის 6-ე მუხლის 7 პუნქტის მოთხოვნებს.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.



- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბაკური თათელიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-652614)

შპს „ელიტაუდიტი“ (SARAS-F-901193)

2023 წლის 9 ნოემბერი

ქუთაისი, საქართველო



# ელიტაუდიტი ELITAUDIT

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბაკური თათელიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-652614)

შპს „ელიტაუდიტი“ (SARAS-F-901193)

2023 წლის 9 ნოემბერი

ქუთაისი, საქართველო



წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განსაზღვროს მენეჯმენტის პასუხისმგებლობები შპს "ონიმა"-ს (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლების ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (IFRS for SMEs).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევის შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა ორგანიზაციაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ, დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2023 წლის 9 ნოემბერს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი ..... გ. მამალაძე

ფინანსური მენეჯერი ..... დ. ასათიანი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე  
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
(ლარებში)

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განსაზღვროს მენეჯმენტის პასუხისმგებლობები შპს "ონიმა"-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლების ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (IFRS for SMEs).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევის შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა ორგანიზაციაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ, დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2023 წლის 9 ნოემბერს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



..... გ. მამალაძე

ფინანსური მენეჯერი

..... დ. ასათიანი

**შპს "ონიმა"**  
**ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ**  
 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (ლარებში)

|                                             | შენიშვნა | 2022                    | 2021                    | 2020                    |
|---------------------------------------------|----------|-------------------------|-------------------------|-------------------------|
| <b>აქტივები</b>                             |          |                         |                         |                         |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                   |          |                         |                         |                         |
| ფული და ფულის ექვივალენტი                   | 3        | 315 953                 | 165 596                 | 56 411                  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები     | 4        | 1 355 755               | 1 269 202               | 1 374 620               |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი                | 5        | 3 072 879               | 2 460 433               | 2 199 840               |
|                                             |          | <b>4 744 587</b>        | <b>3 895 231</b>        | <b>3 630 871</b>        |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                |          |                         |                         |                         |
| ძირითადი საშუალებები                        | 6        | 5 050 030               | 4 919 544               | 3 479 762               |
| არამატერიალური აქტივები                     | 6        | 140 384                 | 140 384                 | 66 996                  |
| გრძელვადიანი მოთხოვნები                     |          |                         |                         |                         |
|                                             |          | <b>5 190 414</b>        | <b>5 059 928</b>        | <b>3 546 758</b>        |
| <u><b>მთლიანი აქტივები</b></u>              |          | <u><b>9 935 001</b></u> | <u><b>8 955 159</b></u> | <u><b>7 177 629</b></u> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>            |          |                         |                         |                         |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>              |          |                         |                         |                         |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება     | 7        | 1 765 141               | 1 939 386               | 2 389 979               |
| საგადასახადო ვალდებულება                    | 8        | 301 156                 | 163 537                 | 7 255                   |
| მოკლევადიანი სესხი                          | 9        | 1 617 000               | 1 978 804               | 1 938 281               |
|                                             |          | <b>3 683 297</b>        | <b>4 081 727</b>        | <b>4 335 515</b>        |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>           |          |                         |                         |                         |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულება       |          |                         |                         |                         |
| გრძელვადიანი სესხი                          | 9        | 877 046                 | 1 312 894               | 518 314                 |
|                                             |          | <b>877 046</b>          | <b>1 312 894</b>        | <b>518 314</b>          |
| <b>კაპიტალი</b>                             |          |                         |                         |                         |
| საწესდებო კაპიტალი                          |          | 200                     | 200                     | 200                     |
| გაუნაწილებელი მოგება                        |          | 5 374 458               | 3 560 338               | 2 323 600               |
|                                             |          | <b>5 374 658</b>        | <b>3 560 538</b>        | <b>2 323 800</b>        |
| <u><b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b></u> |          | <u><b>9 935 001</b></u> | <u><b>8 955 159</b></u> | <u><b>7 177 629</b></u> |

დირექტორი .....

გ. მამალაძე

ფინანსური მენეჯერი .....

დ. ასათიანი

შპს "ონიმა"  
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ლარებში)

|                                         | შენიშვნა | 2022             | 2021             | 2020             |
|-----------------------------------------|----------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                         |          |                  |                  |                  |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>               |          |                  |                  |                  |
| ფული და ფულის ექვივალენტი               | 3        | 315 953          | 165 596          | 56 411           |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები | 4        | 1 355 755        | 1 269 202        | 1 374 620        |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი            | 5        | 3 072 879        | 2 460 433        | 2 199 840        |
|                                         |          | <u>4 744 587</u> | <u>3 895 231</u> | <u>3 630 871</u> |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>            |          |                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                    | 6        | 5 050 030        | 4 919 544        | 3 479 762        |
| არამატერიალური აქტივები                 | 6        | 140 384          | 140 384          | 66 996           |
| გრძელვადიანი მოთხოვნები                 |          |                  |                  |                  |
|                                         |          | <u>5 190 414</u> | <u>5 059 928</u> | <u>3 546 758</u> |
| <u>მთლიანი აქტივები</u>                 |          | <u>9 935 001</u> | <u>8 955 159</u> | <u>7 177 629</u> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>        |          |                  |                  |                  |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>          |          |                  |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 7        | 1 765 141        | 1 939 386        | 2 389 979        |
| საგადასახადო ვალდებულება                | 8        | 301 156          | 163 537          | 7 255            |
| მოკლევადიანი სესხი                      | 9        | 1 617 000        | 1 978 804        | 1 938 281        |
|                                         |          | <u>3 683 297</u> | <u>4 081 727</u> | <u>4 335 515</u> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>       |          |                  |                  |                  |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულება   |          |                  |                  |                  |
| გრძელვადიანი სესხი                      | 9        | 877 046          | 1 312 894        | 518 314          |
|                                         |          | <u>877 046</u>   | <u>1 312 894</u> | <u>518 314</u>   |
| <b>კაპიტალი</b>                         |          |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                      |          | 200              | 200              | 200              |
| გაუნაწილებელი მოგება                    |          | 5 374 458        | 3 560 338        | 2 323 600        |
|                                         |          | <u>5 374 658</u> | <u>3 560 538</u> | <u>2 323 800</u> |
| <u>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</u>    |          | <u>9 935 001</u> | <u>8 955 159</u> | <u>7 177 629</u> |

დირექტორი .....

გ. მამალაძე

ფინანსური მენეჯერი .....

დ. ასათიანი



8 – 19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**შპს "ონიმა"**  
**სრული შემოსავლის ანგარიშგება**  
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
 (ლარებში)

|                                        | შენიშვნა  | 2022                     | 2021                     |
|----------------------------------------|-----------|--------------------------|--------------------------|
| ამონაგები                              | <b>10</b> | 24 055 582               | 20 907 944               |
| გაყიდვების თვითღირებულება              | <b>11</b> | -11 282 382              | -10 514 481              |
| <b>საერთო მოგება</b>                   |           | <b><u>12 773 200</u></b> | <b><u>10 393 462</u></b> |
| მიწოდების ხარჯები                      | <b>12</b> | -973 311                 | -876 561                 |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი              |           | -4 363 540               | -3 773 289               |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი             |           | -1 092 608               | -932 698                 |
| იჯარის ხარჯი                           |           | -557 846                 | -575 017                 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი        | <b>13</b> | -2 691 851               | -2 103 690               |
| <b>მოგება საოპერაციო საქმიანობიდან</b> |           | <b><u>3 094 045</u></b>  | <b><u>2 132 207</u></b>  |
| ფინანსური ხარჯი                        | <b>14</b> | -372 524                 | -357 511                 |
| სხვა (ხარჯი) / შემოსავალი              | <b>15</b> | -457 999                 | -248 813                 |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>              |           | <b><u>2 263 522</u></b>  | <b><u>1 525 883</u></b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი              |           | -6 151                   |                          |
| <b>წმინდა მოგება</b>                   |           | <b><u>2 257 371</u></b>  | <b><u>1 525 883</u></b>  |
| სხვა სრული შემოსავალი                  |           | —                        | —                        |
| <b>სრული შემოსავალი</b>                |           | <b><u>2 257 371</u></b>  | <b><u>1 525 883</u></b>  |

დირექტორი .....

გ. მამალაძე

ფინანსური მენეჯერი .....

დ. ასათიანი

**შპს "ონიმა"**  
**სრული შემოსავლის ანგარიშგება**  
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
 (ლარებში)

|                                        | შენიშვნა | 2022                     | 2021                     |
|----------------------------------------|----------|--------------------------|--------------------------|
| ამონაგები                              | 10       | 24 055 582               | 20 907 944               |
| გაყიდვების თვითღირებულება              | 11       | -11 282 382              | -10 514 481              |
| <b>საერთო მოგება</b>                   |          | <b><u>12 773 200</u></b> | <b><u>10 393 462</u></b> |
| მიწოდების ხარჯები                      | 12       | -973 311                 | -876 561                 |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი              |          | -4 363 540               | -3 773 289               |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი             |          | -1 092 608               | -932 698                 |
| იჯარის ხარჯი                           |          | -557 846                 | -575 017                 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი        | 13       | -2 691 851               | -2 103 690               |
| <b>მოგება საოპერაციო საქმიანობიდან</b> |          | <b><u>3 094 044</u></b>  | <b><u>2 132 207</u></b>  |
| ფინანსური ხარჯი                        | 14       | -372 524                 | -357 511                 |
| სხვა (ხარჯი) / შემოსავალი              | 15       | -457 998                 | -248 813                 |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>              |          | <b><u>2 263 522</u></b>  | <b><u>1 525 883</u></b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი              |          | -6 151                   |                          |
| <b>წმინდა მოგება</b>                   |          | <b><u>2 257 371</u></b>  | <b><u>1 525 883</u></b>  |
| სხვა სრული შემოსავალი                  |          | -                        | -                        |
| <b>სრული შემოსავალი</b>                |          | <b><u>2 257 371</u></b>  | <b><u>1 525 883</u></b>  |

დირექტორი ..... გ. მამალაძე

ფინანსური მენეჯერი ..... დ. ასათიანი



8 – 19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**შპს "ონიმა"**  
**ანგარიშგება საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შესახებ**  
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
 (ლარებში)

|                                                 | მფლობელთა<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ                     |
|-------------------------------------------------|-----------------------|-------------------------|-------------------------|
| <b><u>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის</u></b> | <b><u>200</u></b>     | <b><u>2 323 600</u></b> | <b><u>2 323 800</u></b> |
| <b>2021 წელი</b>                                |                       |                         |                         |
| განაწილებული დივიდენდი                          |                       | -289 145                | -289 145                |
| მფლობელთა შენატანი                              |                       |                         | 0                       |
| წმინდა მოგება                                   |                       | 1 525 883               | 1 525 883               |
| <b><u>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის</u></b> | <b><u>200</u></b>     | <b><u>3 560 338</u></b> | <b><u>3 560 538</u></b> |
| <b>2022 წელი</b>                                |                       |                         |                         |
| განაწილებული დივიდენდი                          |                       | -443 251                | -443 251                |
| მფლობელთა შენატანი                              |                       |                         | 0                       |
| წმინდა მოგება                                   |                       | 2 257 371               | 2 257 371               |
| <b><u>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის</u></b> | <b><u>200</u></b>     | <b><u>5 374 458</u></b> | <b><u>5 374 658</u></b> |

|                          |             |
|--------------------------|-------------|
| დირექტორი .....          | გ. მამალაძე |
| ფინანსური მენეჯერი ..... | დ. ასათიანი |

**შპს "ონიმა"**  
**ანგარიშგება საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შესახებ**  
**საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს**  
**(ლარებში)**

|                                          | მფლობელთა<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ              |
|------------------------------------------|-----------------------|-------------------------|------------------|
| <u>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის</u> | <u>200</u>            | <u>2 323 600</u>        | <u>2 323 800</u> |
| <b>2021 წელი</b>                         |                       |                         |                  |
| განაწილებული დივიდენდი                   |                       | -289 145                | -289 145         |
| მფლობელთა შენატანი                       |                       |                         | 0                |
| წმინდა მოგება                            |                       | 1 525 883               | 1 525 883        |
| <u>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის</u> | <u>200</u>            | <u>3 560 338</u>        | <u>3 560 538</u> |
| <b>2022 წელი</b>                         |                       |                         |                  |
| განაწილებული დივიდენდი                   |                       | -443 251                | -443 251         |
| მფლობელთა შენატანი                       |                       |                         | 0                |
| წმინდა მოგება                            |                       | 2 257 371               | 2 257 371        |
| <u>ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის</u> | <u>200</u>            | <u>5 374 458</u>        | <u>5 374 658</u> |

დირექტორი .....

გ. მამალაძე

ფინანსური მენეჯერი .....

დ. ასათიანი



**შპს "ონიმა"**  
**ფულადი სახსრების ანგარიშგება**  
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
(ლარებში)

|                                                               | 2022                     | 2021                     |
|---------------------------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან</b>     |                          |                          |
| მოგება/ზარალი დაბეგვრამდე                                     | 2 257 371                | 1 525 883                |
| <b>კორექტირებები:</b>                                         |                          |                          |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა                                   | 1 092 608                | 932 698                  |
| საპროცენტო ხარჯი                                              | 372 524                  | 357 511                  |
| (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციით               | -26 594                  | 1 364                    |
| Covi19 სუბსიდია                                               |                          | -136 944                 |
| <b>საოპერაციო ფულადი ნაკადი სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე</b> |                          |                          |
| მარაგების (ზრდა)/შემცირება                                    | -612 446                 | -260 593                 |
| მოკლევადიანი მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება                     | -86 553                  | 242 362                  |
| დარიცხული მიმდინარე ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)           | -30 475                  | -294 310                 |
| <b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>               | <b><u>2 966 434</u></b>  | <b><u>2 367 971</u></b>  |
| გადახდილი პროცენტები                                          | -408 227                 | -334 885                 |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                  | -6 151                   |                          |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>        | <b><u>2 552 056</u></b>  | <b><u>2 033 085</u></b>  |
| <b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>             |                          |                          |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა                                | -1 244 927               | -2 466 967               |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები             | 48 427                   | 19 735                   |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>      | <b><u>-1 196 500</u></b> | <b><u>-2 447 231</u></b> |
| <b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>                |                          |                          |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა დამფუძნებელთა შენატანებით            |                          |                          |
| მიღებული/(დაფარული) სესხის თანხები                            | -761 948                 | 812 476                  |
| გადახდილი დივიდენდები                                         | -443 251                 | -289 145                 |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>         | <b><u>-1 205 199</u></b> | <b><u>523 331</u></b>    |
| <b>წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/შემცირება</b>                 | <b><u>150 357</u></b>    | <b><u>109 185</u></b>    |
| <b>ფულადი სახსრები წლის დასაწყისში</b>                        | <b><u>165 596</u></b>    | <b><u>56 411</u></b>     |
| <b>ფულადი სახსრები წლის ბოლოსათვის</b>                        | <b><u>315 953</u></b>    | <b><u>165 596</u></b>    |

დირექტორი .....

გ. მამალაძე

ფინანსური მენეჯერი .....

დ. ასათიანი

შპს "ონიმა"  
 ფულადი სახსრების ანგარიშგება  
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
 (ლარებში)

|                                                          | 2022                     | 2021                     |
|----------------------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან       |                          |                          |
| მოგება/ზარალი დაბეგვრამდე                                | 2 257 371                | 1 525 883                |
| კორექტირებები:                                           |                          |                          |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა                              | 1 092 608                | 932 698                  |
| საპროცენტო ხარჯი                                         | 372 524                  | 357 511                  |
| (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციით          | -26 594                  | 1 364                    |
| Covi19 სუბსიდია                                          |                          | -136 944                 |
| საოპერაციო ფულადი ნაკადი სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე   |                          |                          |
| მარაგების (ზრდა)/შემცირება                               | -612 446                 | -260 593                 |
| მოკლევადიანი მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება                | -86 553                  | 242 362                  |
| დარიცხული მიმდინარე ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)      | -30 475                  | -294 310                 |
| <b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>          | <b><u>2 966 434</u></b>  | <b><u>2 367 971</u></b>  |
| გადახდილი პროცენტები                                     | -408 227                 | -334 885                 |
| გადახდილი მოგების გადასახადი                             | -6 151                   |                          |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>   | <b><u>2 552 056</u></b>  | <b><u>2 033 085</u></b>  |
| ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან               |                          |                          |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა                           | -1 244 927               | -2 466 967               |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული თანხები        | 48 427                   | 19 735                   |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b><u>-1 196 500</u></b> | <b><u>-2 447 231</u></b> |
| ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან                  |                          |                          |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა დამფუძნებელთა შენატანებით       |                          |                          |
| მიღებული/(დაფარული) სესხის თანხები                       | -761 948                 | 812 476                  |
| გადახდილი დივიდენდები                                    | -443 251                 | -289 145                 |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>    | <b><u>-1 205 199</u></b> | <b><u>523 331</u></b>    |
| <b>წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/შემცირება</b>            | <b><u>150 357</u></b>    | <b><u>109 185</u></b>    |
| ფულადი სახსრები წლის დასაწყისში                          | <b><u>165 596</u></b>    | <b><u>56 411</u></b>     |
| ფულადი სახსრები წლის ბოლოსათვის                          | <b><u>315 953</u></b>    | <b><u>165 596</u></b>    |

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

გ. მამალაძე

დ. ასათიანი



8 – 19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები:

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ონიმა“ დაფუძნებულია 2008 წლის 8 მაისს. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორი და 100% წილის მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი მთვარისა ონიანი-მამალაძე. კომპანიას მართავს დირექტორი, რომელიც წარმოადგენს კომპანიას და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ საქმიანობაზე. კომპანიის დირექტორია გოჩა მამალაძე.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქუთაისი, გუგუნავას ქ., №13.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კვების პროდუქტების, კერძოდ ძეხვეულისა და ხორცპროდუქტების წარმოება.

### 2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

#### მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში IFRS for SMEs) შესაბამისად, რომელიც აღიარებულია ევროპის კავშირის მიერ.

წარმოდგენილია კომპანიის ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, განხილულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა პერიოდზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის შესახებ მითითებული იქნება წინამდებარე ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის წარსადგენ და სამუშაო ვალუტას, საქართველოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნების შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის საბუღალტრო მონაცემების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, მენეჯმენტმა გამოიყენა მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები. კომპანიას არ უღიარებია ამონაგები მიმდინარე პროექტიდან, რადგან საკონტრაქტო ვალდებულების შესრულება არ იყო დასრულებული. კომპანიას აქვს მყარი ლიკვიდურობა, პროექტის შესრულება მიმდინარეობს გრაფიკის შესაბამისად და მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია კომპანიისთვის.

#### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის ანგარიშებაში.

2021 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

|                                   | USD    | EUR    |
|-----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის | 3,0976 | 3,5040 |
| საშუალო კურსი 2021 წლისათვის      | 3,2209 | 3,8140 |
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის | 2,7020 | 2,8844 |
| საშუალო კურსი 2022 წლისათვის      | 2,9156 | 3,0792 |

#### ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც კომპანიის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია გაცემული სესხების და დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების, მიღებული სესხების და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯებით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც კომპანია გახდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტრუმენტის ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა მიღებულ ან მისაღებ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ თანხებს შორის ჩაირთვება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### გაცემული სესხები და მოთხოვნები

გაცემული სესხები და მოთხოვნები არ წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ აქტივებს და ხასიათდებიან ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით. გაცემული სესხების და მოთხოვნების კატეგორია არ მოიცავს:

- (ა) აქტივებს, რომელთა გაყიდვაც კომპანიას განზრახული აქვს დაუყონებლივ, ან ახლო მომავალში, და რომლებიც უნდა დაკლასიფიცირდეს, როგორც გასაყიდად გამიზნული, და რომელთაც საწარმო თავდაპირველი აღიარების შემდეგ აფასებს რეალური ღირებულებებით მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- (ბ) აქტივებს, რომელთაც საწარმო თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღირიცხავს, როგორც გასაყიდად გამიზნულს; ან
- (გ) აქტივებს, რომელთა მფლობელებსაც არ შეუძლიათ ფაქტიურად დაფარონ მთელი მათი საწყისი ინვესტიცია, გარდა იმ შემთხვევის, როდესაც ეს გამოწვეულია საკრედიტო პირობების გაუარესების გამო, და რომლებიც შეიძლება კლასიფიცირებულ იყოს, როგორც გასაყიდად გამიზნული.

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივისა და ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, თუ კომპანია ხდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული საკონტრაქტო პირობების მონაწილე; კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან კომპანია ახდენს ფინანსური აქტივის გადაცემას, და ეს გადაცემა კლასიფიცირდება, როგორც აქტივის აღიარების შეწყვეტა.

მოთხოვნები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი მოთხოვნები.

### **ფული და ფულის ექვივალენტი**

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

### **მიღებული სესხები**

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება შესყიდვის ღირებულებით. სესხები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც კომპანიას აქვს განუსაზღვრელი უფლება, გადაავადოს ეს ვალდებულებები ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც ისინი წარმოიშვა.

### **კრედიტორული დავალიანება**

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის, ასევე დამფუძნებელთათვის და პერსონალისათვის გადასახდელი თანხების ღირებულებას.

ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

### **შემოსავლების აღიარება**

შემოსავლების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

კომპანიის ამონაგები მოიცავს გზების მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკისა და სათადარიგო ნაწილების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს, საგზაო ტექნიკის შეკეთების მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს, გზების მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკის იჯარით გაცემიდან მიღებულ შემოსავლებს და არასაოპერაციო შემოსავლებს (მაგ. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება).

კომპანია შემოსავლების აღიარებას ახორციელებს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

### **ხარჯების აღიარება**

კომპანია გასწევს ხარჯებს თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ხარჯის აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

### **მოგების გადასახადი**

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებისთვის საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია არ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

### **გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა**

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

### **განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები**

კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

### **დამატებული ღირებულების გადასახადი**

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

**სამეურნეო მასალები (მარაგები)**

კომპანიის მიერ მარაგებად აღიარდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, რომელიც გამოიყენება შემდეგი დანიშნულებით: სარეალიზაციოდ გათვალისწინებული საქონელი, მცირეფასიანი ინვენტარი და სხვა დამხმარე მასალები.

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

**ძირითადი და არამატერიალური აქტივები**

ძირითადი საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება არის აქტივის აღიარების დღეს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების მოცულობა. თუ აქტივის შემენისთვის გადახდის ვალდებულება გადავადებულია ნორმალური საკრედიტო პირობების ფარგლებში, სხვაობა მის ღირებულებასა და სრულ გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება პროცენტის თანხის კაპიტალიზაცია შემენილი აქტივის ღირებულებაზე.

თავდაპირველი აღირების შემდეგ, ძირითადი საშუალება ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის/ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვისას არ გაითვალისწინება აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთის/ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის გამოყენებული განაკვეთები:

| <b>ჯგუფი</b>                 | <b>%</b>                                   |
|------------------------------|--------------------------------------------|
| შენობა                       | 5% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში        |
| მანქანა-დანადგარები          | 8% - 20% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში  |
| ოფისის აღჭურვილობა           | 15% - 20% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი      | 15% - 20% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში |
| სატრანსპორტო საშუალებები     | 15% - 20% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 15% - 20% წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში |

**კომპანიის კაპიტალის შესახებ ინფორმაციის ახსნა-განმარტება**

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსახორციელებლად შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს მეწილეებისათვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მეწილეებს, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

### **რისკების მართვა, ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები**

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საზოგადოების რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, მენეჯმენტის საერთო მიზანია ამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე.

### **ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები**

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- **ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **გადასახადები.** კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადებისა და პროცენტების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაყვას აღნიშნული რისკი. კომპანიას სჯერა, რომ ყველა საანგარიშგებო პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისაგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის მოგება-ზარალზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

**3. ფული და ფულის ექვივალენტები**

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                   | <b>2022</b>           | <b>2021</b>           | <b>2020</b>          |
|-----------------------------------|-----------------------|-----------------------|----------------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში       | 1 398                 | 2 506                 | 1 480                |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში | 314 370               | 162 877               | 54 207               |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში  | 185                   | 213                   | 724                  |
|                                   | <b><u>315 953</u></b> | <b><u>165 596</u></b> | <b><u>56 411</u></b> |

**4. მოკლევადიანი მოთხოვნები**

მოკლევადიანი მოთხოვნები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                           | <b>2022</b>             | <b>2021</b>             | <b>2020</b>             |
|-------------------------------------------|-------------------------|-------------------------|-------------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან  | 1 014 096               | 837 707                 | 776 812                 |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები          | 338 271                 | 428 935                 | 595 521                 |
| მოთხოვნები პერსონალის მიმართ              | 1 179                   | 0                       | 0                       |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები           | 0                       | 0                       | 0                       |
| სხვა მოთხოვნები                           | 2 209                   | 2 560                   | 2 287                   |
| <b><u>სულ მოკლევადიანი მოთხოვნები</u></b> | <b><u>1 355 755</u></b> | <b><u>1 269 202</u></b> | <b><u>1 374 620</u></b> |

**5. სასაქონლო-მატერიალური მარაგი**

სასაქონლო-მატერიალური მარაგი საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                  | <b>2022</b>             | <b>2021</b>             | <b>2020</b>             |
|----------------------------------|-------------------------|-------------------------|-------------------------|
| საქონელი                         | 206 518                 | 223 745                 | 488 046                 |
| ნედლული და სხვა მარაგები         | 2 039 502               | 1 531 923               | 1 359 432               |
| დაუმთავრებელი წარმოება           | 735 710                 | 580 527                 | 260 724                 |
| საწვავ-საცხები მასალები          | 11 337                  | 7 784                   | 3 616                   |
| სათადარიგო მასალები და ინვენტარი | 79 813                  | 116 455                 | 88 021                  |
| <b><u>სულ მარაგები</u></b>       | <b><u>3 072 879</u></b> | <b><u>2 460 433</u></b> | <b><u>2 199 840</u></b> |

შპს "ონიმა"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში).

## 6. ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

| ისტორიული ღირებულება                       | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | არამატერიალური<br>აქტივები | სულ               |
|--------------------------------------------|-------------------------|-----------------------|-----------------------------|----------------------------------------------|----------------------------|-------------------|
| <b>ისტორიული ღირებულება 31.12.2020</b>     | <b>5 494 358</b>        | <b>189 404</b>        | <b>618 873</b>              | <b>726 570</b>                               | <b>88 551</b>              | <b>7 117 756</b>  |
| <b>დაგროვილი ცვეთა 31.12.2020</b>          | <b>-2 882 640</b>       | <b>-112 472</b>       | <b>-293 619</b>             | <b>-260 712</b>                              | <b>-21 555</b>             | <b>-3 570 998</b> |
| <b>ნარჩენი ღირებულება 31.12.2020</b>       | <b>2 611 719</b>        | <b>76 931</b>         | <b>325 254</b>              | <b>465 858</b>                               | <b>66 996</b>              | <b>3 546 758</b>  |
| შემოსვლა 2021                              | 2 161 028               | 81 403                | 41 459                      | 109 690                                      | 73 387                     | 2 466 967         |
| გასვლა 2021                                | 0                       | 0                     | -135 639                    | 0                                            | 0                          | -135 639          |
| <b>ისტორიული ღირებულება 31.12.2021</b>     | <b>7 655 386</b>        | <b>270 807</b>        | <b>524 692</b>              | <b>836 260</b>                               | <b>161 938</b>             | <b>9 449 083</b>  |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>                     |                         |                       |                             |                                              |                            |                   |
| ცვეთა 2021                                 | -788 961                | -21 523               | -66 523                     | -55 691                                      | 0                          | -932 698          |
| გასული ძირითადი საშუალებების<br>ცვეთა 2021 | 0                       | 0                     | 114 540                     | 0                                            | 0                          | 114 540           |
| <b>დაგროვილი ცვეთა 31.12.2021</b>          | <b>-3 671 601</b>       | <b>-133 995</b>       | <b>-245 601</b>             | <b>-316 403</b>                              | <b>-21 555</b>             | <b>-4 389 155</b> |
| <b>ნარჩენი ღირებულება</b>                  |                         |                       |                             |                                              |                            |                   |
| <b>ნარჩენი ღირებულება 31.12.2021</b>       | <b>3 983 785</b>        | <b>136 812</b>        | <b>279 091</b>              | <b>519 857</b>                               | <b>140 384</b>             | <b>5 059 928</b>  |
| შემოსვლა 2022                              | 1 098 083               | 22 220                | 46 496                      | 78 129                                       | 0                          | 1 244 927         |
| გასვლა 2022                                | -28 756                 | -27 137               | -5 139                      | -17 397                                      | 0                          | -78 429           |
| <b>ისტორიული ღირებულება 31.12.2022</b>     | <b>8 724 713</b>        | <b>265 889</b>        | <b>566 049</b>              | <b>896 991</b>                               | <b>161 938</b>             | <b>10 615 581</b> |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>                     |                         |                       |                             |                                              |                            |                   |
| ცვეთა 2022                                 | -920 117                | -28 827               | -63 365                     | -80 300                                      | 0                          | -1 092 608        |
| გასული ძირითადი საშუალებების<br>ცვეთა 2022 | 21 401                  | 20 926                | 4 854                       | 9 414                                        | 0                          | 56 596            |
| <b>დაგროვილი ცვეთა 31.12.2022</b>          | <b>-4 570 316</b>       | <b>-141 895</b>       | <b>-304 112</b>             | <b>-387 289</b>                              | <b>-21 555</b>             | <b>-5 425 167</b> |
| <b>ნარჩენი ღირებულება</b>                  |                         |                       |                             |                                              |                            |                   |
| <b>ნარჩენი ღირებულება 31.12.2022</b>       | <b>4 154 397</b>        | <b>123 994</b>        | <b>261 937</b>              | <b>509 702</b>                               | <b>140 384</b>             | <b>5 190 414</b>  |

## 7. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                                           | 2022             | 2021             | 2020             |
|-----------------------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| საქონლის მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულება              | 1 625 284        | 1 809 330        | 1 726 446        |
| მიღებული მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები         | 55 250           | 38 290           | 20 689           |
| ძირითადი საშუალებების შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 24 722           | 0                | 588 572          |
| იჯარის ვალდებულებები                                      | 35 974           | 52 140           | 34 599           |
| გადასახდელი ხელფასები                                     | 23 907           | 39 623           | 19 609           |
| მიღებული ავანსები                                         | 3                | 3                | 3                |
| ვალდებულებები პერსონალის მიმართ                           | 1                | 0                | 61               |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                           | 0                | 0                | 0                |
| <b>სულ კრედიტორული დავალიანება</b>                        | <b>1 765 140</b> | <b>1 939 386</b> | <b>2 389 978</b> |

## 8. საგადასახადო ვალდებულება

კომპანიის საგადასახადო ვალდებულება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                     | 2022           | 2021           | 2020         |
|-------------------------------------|----------------|----------------|--------------|
| საგადასახადო ვალდებულებები          | 301 156        | 163 537        | 7 255        |
| <b>სულ საგადასახადო ვალდებულება</b> | <b>301 156</b> | <b>163 537</b> | <b>7 255</b> |

## 9. სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                               | 2022             | 2021             | 2020             |
|-------------------------------|------------------|------------------|------------------|
| მოკლევადიანი საბანკო სესხები  | 1 617 000        | 1 917 000        | 1 899 104        |
| სესხები პარტნიორებისაგან      | 0                | 26 100           | 26 100           |
| სესხებზე დარიცხული პროცენტი   | 0                | 35 704           | 13 077           |
| <b>სულ მოკლევადიანი სესხი</b> | <b>1 617 000</b> | <b>1 978 804</b> | <b>1 938 281</b> |
| გრძელვადიანი საბანკო სესხები  | 877 046          | 1 312 894        | 518 314          |
| <b>სულ გრძელვადიანი სესხი</b> | <b>877 046</b>   | <b>1 312 894</b> | <b>518 314</b>   |

**10. შემოსავლები**

კომპანიის შემოსავლები ძირითადად შედგება ძეხვეულისა და ხორცპროდუქტების წარმოება - რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებით. შემოსავლები საანგარიშო პერიოდებისათვის შეადგენს:

|                                                      | <b>2022</b>              | <b>2021</b>              |
|------------------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| შემოსავალი საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან | 24 923 486               | 21 919 955               |
| გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა            | -1 212 786               | -1 015 084               |
| შემოსავალი ნედლეულის რეალიზაციიდან                   | 344 883                  | 3 072                    |
| <b><u>სულ: საოპერაციო შემოსავალი</u></b>             | <b><u>24 055 582</u></b> | <b><u>20 907 944</u></b> |

**11. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება**

კომპანიის მიერ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                              | <b>2022</b>               | <b>2021</b>               |
|----------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება        | -10 968 167               | -10 502 514               |
| რეალიზებული ნედლეულის თვითღირებულება         | -314 215                  | -11 968                   |
| <b><u>სულ გაყიდვების თვითღირებულება:</u></b> | <b><u>-11 282 382</u></b> | <b><u>-10 514 481</u></b> |

**12. დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი**

კომპანიის მიერ გაწეული დისტრიბუციისა და მარკეტინგის დანახარჯები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                     | <b>2022</b>            | <b>2021</b>            |
|-------------------------------------|------------------------|------------------------|
| ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები | -226 927               | -225 055               |
| რეკლამის ხარჯი                      | -274 639               | -261 936               |
| მიწოდების სხვა ხარჯები              | -471 745               | -389 569               |
| <b><u>სულ:</u></b>                  | <b><u>-973 311</u></b> | <b><u>-876 561</u></b> |

**13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები           | 2022              | 2021              |
|---------------------------------------------|-------------------|-------------------|
| კომუნიკაციის ხარჯები                        | -9 310            | -9 316            |
| საწვავის ხარჯი                              | -901 676          | -621 808          |
| სადაზღვევო ხარჯები                          | -418              | -428              |
| ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები | -195 983          | -97 553           |
| მცირეფასიანი ინვენტარი                      | -237              | -252              |
| საბანკო მომსახურების ხარჯი                  | -17 933           | -20 038           |
| კომუნალური მომსახურების ხარჯები             | -583 243          | -517 260          |
| სამივლინებო ხარჯები                         | -749              | 0                 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები                   | -3 928            | -2 816            |
| კომპიუტერული ხარჯები                        | -4 311            | -4 236            |
| საკანცელარიო ხარჯები                        | -9 649            | -6 597            |
| საგადასახადო ხარჯი                          | -58 096           | -47 812           |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                     | -906 318          | -775 575          |
| <b>სულ:</b>                                 | <b>-2 691 851</b> | <b>-2 103 690</b> |

**14. ფინანსური ხარჯი**

კომპანიის ფინანსური ხარჯი საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                     | 2022            | 2021            |
|-------------------------------------|-----------------|-----------------|
| საბანკო სესხებზე დარიცხული პროცენტი | -372 524        | -357 511        |
| <b>სულ:</b>                         | <b>-372 524</b> | <b>-357 511</b> |

**15. სხვა (ხარჯი)/შემოსავალი**

კომპანიის სხვა (ხარჯი)/შემოსავალი საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს მოიცავს:

|                                                     | 2022            | 2021            |
|-----------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან | 26 594          | -1 364          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                       | 34 536          | 224 545         |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები                          | -660 530        | -559 987        |
| დადებითი საკურსო სხვაობები                          | 196 106         | 118 329         |
| უარყოფითი საკურსო სხვაობები                         | -54 705         | -30 335         |
| <b>სულ:</b>                                         | <b>-457 999</b> | <b>-248 813</b> |

## 16. მოგების გადასახადის ხარჯი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მდგომარეობით კომპანიის შემოსავალთან მიმართებით გამოყენებადი მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და გადავადებულ მოგების გადასახადს. კოდექსის შესაბამისად გამონაკლის შემთხვევებში გადახდილი გადასახადი მოგების გადასახადის ნაცვლად აღიარება სხვა საგადასახადო ხარჯებთან ერთად.

## 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რომელიც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

## მმართველობითი ანგარიში

### ➤ ინფორმაცია კომპანიის შესახებ.

კომპანია დაარსდა 2008 წლის 8 მაისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდით - 212916157.


კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი მთვარისა ონიანი-მამალაძე. კომპანიას მართავს დირექტორი გოჩა მამალაძე.

კომპანიის მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი გუგუნავას ქუჩა #13.

### ➤ კომპანიის შემოსავლების მაჩვენებლები.

2022 წელს კომპანიის შემოსავალმა შეადგინა 24 055 585 ლარი, რაც 15% მეტია გასულ წელთან შედარებით.

შემოსავლების ზრდის დინამიკა ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:



➤ **კომპანიის საქმიანობა**

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების პროდუქტების, კერძოდ ძეხვის და ხორცპროდუქტების წარმოება.

კომპანია აწარმოებს ხორცპროდუქტების ფართო არჩევანს. კომპანიას ასორტიმენტში აქვს 130 დასახელების პროდუქცია.

პროდუქციის ძირითადი ჯგუფები გამოიყურება შემდეგნაირად:

- ❖ სოსისები და სარდლები, მოხარშული ძეხვი;
- ❖ მოხარშულ-შებოლილი ძეხვი;
- ❖ ნედლად შებოლილი ძეხვი;
- ❖ დელიკატესები.

2015 წლიდან კომპანიში დაინერგა და დღემდე ფუნქციონირებს სურსათის უვნებლობის სისტემა-HACCP და მოპოვებული აქვს ასევე სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის ISO 22000:2018 საერთაშორისო სერთიფიკატი.

კომპანიას გააჩნია თავისი დისტრიბუცია, რომელის უზრუნველყოფს პროდუქციის განაწილებას სავაჭრო ქსელში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

➤ **განვითარების სტრატეგია**

კომპანია ყოველწლიურად ვითარდება და იზრდება, მუდმივად ინერგება და იხვეწება ახალი ტექნოლოგიები საწარმოო პროცესებთან მიმართებაში.

ასევე ყოველწლიურად იზრდება პროდუქციის ასორტიმენტი, რომელიც იცვლება მომხმარებლის მოთხოვნილებების და ინტერესების შესაბამისად. ამისათვის კომპანია მუდმივად თანამშრომლობს რითეილ სექტორის წარმომადგენლებთან.

უახლოეს გეგმებშია წარმოების გაფართოება და მაქსიმალური ოპტიმიზაცია, რადგან კომპანიის პროდუქციისიაზე არსებობს მზარდი მოთხოვნა მომხმარებლის მხრიდან.

კომპანია გეგმავს გააგძელოს და გააფართოვოს თანამშრომლობა რითეილ სექტორის როგორც საშუალო და მცირე, ასევე მსხვილ წარმომადგენლებთან.

➤ **ძირითადი რისკები და გამოწვევები**

კომპანია ახორციელებს თავის კომერციულ საქმიანობას საქართველოს ბაზარზე არსებული საბაზრო, საკრედიტო და სავალუტო რისკების გათვალისწინებით.

პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის დიდი წილი იმპორტირებულია, ამიტომ ნედლეულის შესყიდვების პროცესში კომპანია მაქსიმალურად ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში გაცვლითი კურსის, ანუ სავალუტო რისკს.

მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 9 ნოემბერს.

დირექტორი ..... გ. მამალაძე

ფინანსური მენეჯერი ..... დ. ასათიანი

შპს „ონიმა“-ს მმართველობითი ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს.

➤ კომპანიის საქმიანობა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების პროდუქტების, კერძოდ ძეხვის და ხორცპროდუქტების წარმოება.

კომპანია აწარმოებს ხორცპროდუქტების ფართო არჩევანს. კომპანიას ასორტიმენტში აქვს 130 დასახელების პროდუქცია.

პროდუქციის ძირითადი ჯგუფები გამოიყურება შემდეგნაირად:

- ❖ სოსისები და სარძელები, მოხარშული ძეხვი;
- ❖ მოხარშულ-შებოლილი ძეხვი;
- ❖ ნედლად შებოლილი ძეხვი;
- ❖ დელიკატესები.

2015 წლიდან კომპანიაში დაინერგა და დღემდე ფუნქციონირებს სურსათის უვნებლობის სისტემა-HACCP და მოპოვებული აქვს ასევე სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის სისტემის ISO 22000:2018 საერთაშორისო სერთიფიკატი.

კომპანიას გააჩნია თავისი დისტრიბუცია, რომელს უზრუნველყოფს პროდუქციის განაწილებას სავაჭრო ქსელში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

➤ განვითარების სტრატეგია

კომპანია ყოველწლიურად ვითარდება და იზრდება, მუდმივად ინერგება და იხვეწება ახალი ტექნოლოგიები საწარმოო პროცესებთან მიმართებაში.

ასევე ყოველწლიურად იზრდება პროდუქციის ასორტიმენტი, რომელიც იცვლება მომხმარებლის მოთხოვნილებების და ინტერესების შესაბამისად. ამისათვის კომპანია მუდმივად თანამშრომლობს რითეილ სექტორის წარმომადგენლებთან.

უახლოეს გეგმებშია წარმოების გაფართოება და მაქსიმალური ოპტიმიზაცია, რადგან კომპანიის პროდუქციისაზე არსებობს მზარდი მოთხოვნა მომხმარებლის მხრიდან.

კომპანია გეგმავს გააგძელოს და გააფართოვოს თანამშრომლობა რითეილ სექტორის როგორც საშუალო და მცირე, ასევე მსხვილ წარმომადგენლებთან.

➤ ძირითადი რისკები და გამოწვევები

კომპანია ახორციელებს თავის კომერციულ საქმიანობას საქართველოს ბაზარზე არსებული საბაზრო, საკრედიტო და სავალუტო რისკების გათვალისწინებით.

პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის დიდი წილი იმპორტირებულია, ამიტომ ნედლეულის შესყიდვების პროცესში კომპანია მაქსიმალურად ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში გაცვლითი კურსის, ანუ სავალუტო რისკს.

მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 9 ნოემბერს.

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი



..... გ. მამალაძე

..... დ. ასათიანი